ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
II ტური
2025-2026 წწ.

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-5*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1 ქ.) 1. რა არის ფოტოზე ნაჩვენები არიზონას კრატერის წარმოშობის მიზეზი?

ა) ვულკანის ამოფრქვევა;
ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;
გ) მიწისძვრისას მომხდარი ჩაქცევა;
დ) მეტეორიტის ვარდნა;

(1 ქ.) 2. სად დაიწყო საქართველოში ციტრუსების მასობრივი კულტივაცია 1920-30-იან წლებში?

ა) ივრის ზეგანზე;
ბ) კოლხეთის დაბლობზე;
გ) რაჭის ქვაბულში;
დ) ალაზნის ველზე.

(1 ქ.) 3. აფრიკის კონტურულ რუკაზე მონიშნული საზღვრის მონაკვეთებიდან რომელია „გეომეტრიული საზღვრის“ მაგალითი?



ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

(1 ქ.) 4. როგორ აისახება პრომეთეს მღვიმეში არსებული მუდმივი +14°C ტემპერატურა მის ბუნებრივ პროცესებზე?

ა) ხელს უწყობს ნაღვენთ-ნაწვეთი წარმონაქმნების შენარჩუნებას;
ბ) იწვევს ქანების გახლეჩვასა და მიწისძვრებს;
გ) ამცირებს მღვიმეში ჟანგბადის რაოდენობასა და ჰაერის გამჭვირვალობას;
დ) ზრდის მექანიკური გზით კირქვების დაშლის პროცესს.

(1 ქ.) 5. ქვემოთ მოცემული ფოტოებიდან სამი გადაღებულია საქართველოში. რომელი ფოტო *<u>არ არის</u>* გადაღებული საქართველოში?



- *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 6-8*

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(8 ქ.) 6. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>არ</u> მეორდება):

	ფოტო		გავრცელების არეალის რუკა
ა	 პინგვინი	1	

ბ	 კოალა	2	
ბ	 ქურციკი	3	
დ	 დინგო	4	
ე	 პანდა	5	

3	 ნიანგი	6	
ზ	 პუმა	7	
თ	 კაზუარი	8	

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ

(6 ქ.) 7. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>არ</u> მეორდება):

	მოგზაური		ინფორმაცია პიროვნების შესახებ
ა	 იბნ-ბატუტა	1	მინის დინასტიის გამოჩენილი მოგზაური, მეზღვაური და დიპლომატი, რომელიც ხელმძღვანელობდა შვიდ მსხვილმასშტაბიან სამხედრო-სავაჭრო საზღვაო ექსპედიციას ინდოჩინეთის, ინდოსტანის, არაბეთის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე.
ბ	 ფრეია სტარკი	2	დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელმაც ევროპელთაგან პირველმა იმოგზაურა წყნარ ოკეანეში ატლანტის ოკეანის გავლით.
გ	 ჯეიმზ კუკი	3	XIV საუკუნეში იმოგზაურა აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, 30 წლის განმავლობაში გაიარა დაახლოებით 120 000 კილომეტრი და მოახდინა მრავალი კულტურის აღწერა და პირველადი დოკუმენტირება.
დ	 მარკო პოლო	4	რევოლუცია მოახდინა საზღვაო კვლევებში, ხელმძღვანელობდა სამ გარსაქვეყნო საზღვაო ექსპედიციას. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ჰავაის კუნძულებზე.

ე	 ჯენ ხე	5	მისმა მრავალწლიანმა მოგზაურობამ აზიაში და მოგზაურობის შედეგად დაწერილმა წიგნმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის ზღვაოსნებზე, განსაკუთრებით ქრისტეფორე კოლუმბზე.
ვ	 ფერნანდო მაგელანი	6	ამ მოგზაურმა და მწერალმა დაარღვია გენდერული და კულტურული ბარიერები; მისი კვლევები განსაკუთრებით ფასდება დეტალური და ჰუმანისტური დაკვირვებების გამო. მან ღრმად მოხუცებულობამდე მიაღწია და 100 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

(8 ქ.) 8. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>არ</u> მეორდება):

	აზიმუტი ქ. ქუთაისიდან		დასახლებული პუნქტი
ა	3^0	1	ფოთი
ბ	162^0	2	ამბროლაური
გ	303^0	3	ბათუმი
დ	54^0	4	მესტია
ე	262^0	5	გორი
ვ	106^0	6	სოხუმი
ზ	234^0	7	ახალციხე
თ	$180°$	8	ადიგენი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ

➢ *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 9-11*

ინსტრუქცია

გააანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(4 ქ.) 9. გააანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:

(1 ქ.) 9.1. რომელი სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებაა ნაჩვენები ფოტოზე?

ა) ნავთობის;
ბ) კირქვის;
გ) ქვანახშირის;
დ) თაბაშირის.

(3 ქ.) 9.2. უსაფრთხოების მიზნით რის გაკეთებაა აუცილებელი ფოტოზე აღნიშნული სასარგებლო წიაღისეულის შესაბამისი მეთოდით ტრანსპორტირებისას (დაასახელეთ კონკრეტული ღონისძიება რომელიც ნაჩვენებია ფოტოზე) და დაასახელეთ ორი მიზეზი რის გამოც აუცილებელია ამ ღონისძიების განხორციელება?

(4 ქ.) 10. ავსტრიის ალპების მთისწინეთში მდებარეობს შრობადი (დროებითი) მწვანე ტბა (Grüner See), რომელშიც წყალი მხოლოდ რამდენიმე კვირით გროვდება, ძირითადად მაის-ივნისის პერიოდში. დაასახელეთ და ახსენით, რა არის ამის განმაპირობებელი გეომორფოლოგიური და კლიმატური ფაქტორები?



(5 ქ.) **11. გააანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:**

არგენტინა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. იგი სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს და სამხრეთ ტროპიკიდან პატაგონიის ყინულოვან ლანდშაფტებამდეა გადაჭიმული. არგენტინა ცნობილია თავისი მრავალფეროვანი გეოგრაფიით: დასავლეთით ანდების მთები, ცენტრში ნაყოფიერი პამპა და სამხრეთით პატაგონიის უზარმაზარი ვაკეები.

ქვეყანა კულტურული იდენტობით გამოირჩევა, რომელიც ევროპულ და ადგილობრივ გავლენებზეა დაფუძნებული. დედაქალაქ ბუენოს-აირესს ხშირად „სამხრეთ ამერიკის პარიზს“ უწოდებენ თავისი არქიტექტურისა და კულტურული ცხოვრების გამო. არგენტინა ტანგოს სამშობლოა, ასევე ცნობილია მაღალი ხარისხის საქონლის ხორცით, მგზნებარე ფეხბურთის გულშემატკივრებით და ისეთი ბუნებრივი საოცრებებით, როგორიცაა იგუასუს ჩანჩქერი და პერიტო მორენოს მყინვარი.

მისი ეკონომიკა დაფუძნებულია სოფლის მეურნეობაზე, სამთო მოპოვებასა და მრეწველობაზე, მაგრამ ქვეყნის გამოწვევად რჩება ინფლაცია და საგარეო ვალი.



(1 ქ.) **11.1.** ფართობის სიდიდის მიხედვით სამხრეთ ამერიკაში მერამდენე ადგილზეა არგენტინა?

(1 ქ.) **11.2.** რას უწოდებენ პამპას შესატყვის ბუნებრივ ზონას აზიის და ევროპის კონტინენტებზე?

(2 ქ.) **11.3.** რომელი ორი ეროვნების ევროპელმა ემიგრანტებმა მოახდინეს განსაკუთრებით დიდი გავლენა ადგილობრივ კულტურაზე?

(1 ქ.) **11.4.** გამოთვალეთ რას უტოლდება არგენტინის სავაჭრო სალდოს მაჩვენებელი?